



KA

“მოვითხოვე თავშესაფარი
ევროკავშირში, რომელი
ქვეყანა განიხილავს ჩემს
თხოვნას?”

A

ინფორმაცია დუბლინის რეგლამენტის შესახებ
საერთაშორისო დაცვის მთხოვნელთათვის
ევროკავშირის რეგლამენტის N 604/2013 4 მუხლით.

თქვენ გვთხოვთ, რომ დაგიცვათ, რადგან ფიქრობთ, რომ იყავით იძულებული დაგეტოვებიათ ქვეყანა დევნის, ომის ან სხვა დიდი საფრთხის გამო. სამართლებრივი აქტის მიხედვით ამას ეწოდება საერთაშორისო დაცვის თხოვნა, ხოლო თქვენ ხართ დაცვის მთხოვნელი. დაცვის მთხოვნელი პიროვნება ხშირად მოიხსენიება როგორც თავშესაფრის მთხოვნელი.

ის, რომ თქვენ აქ მოითხოვთ თავშესაფარი, არ ნიშნავს იმას, რომ აქ განვიხილავთ თქვენს თხოვნას. თქვენი თხოვნის განმხილველი ქვეყანა დგინდება ევროკავშირის სამართლებრივი აქტით დადგენილი პროცედურით, რომელიც ასევე ცნობილია როგორც დუბლინის რეგლამენტი. ამ სამართლებრივი აქტის საფუძველზე თქვენი თხოვნის განხილვაზე პასუხისმგებელია მხოლოდ ერთი ქვეყანა.

ეს სამართლებრივი აქტი მოქმედებს გეოგრაფიულ რეგიონში რომელიც მოიცავს 32 ქვეყანას. ეს 32 ქვეყანა ამ ბროშურაში მოხსენიებული გვაქვს როგორც დუბლინის ქვეყნები.


თუ თქვენთვის რაიმე გაურკვეველია ამ ბროშურაში, მიმართეთ ჩვენი ინსტიტუციის წარმომადგენლებს.

იქამდე, სანამ დავიწყებთ თქვენი თხოვნის განხილვას თავშესაფრის შესახებ, უნდა დავადგინოთ, ჩვენ ვართ პასუხისმგებელი მის განხილვაზე თუ სხვა ქვეყანა. ამას ეწოდება დუბლინის პროცედურა. დუბლინის პროცედურა არ არის დაკავშირებული იმ მიზეზებთან, რის გამოც თქვენ ითხოვთ თავშესაფარს. მის ფარგლებში წყდება საკითხი თუ რომელი ქვეყანაა ვალდებული მიიღოს გადაწყვეტილება თქვენი თავშესაფრის თხოვნასთან დაკავშირებით.

ეს ბროშურა საინფორმაციო ხასიათისაა. მისი მიზანია მიაწოდოს საერთაშორისო დაცვის მომთხოვნს შესატყვისი ინფორმაცია დუბლინის პროცედურაზე. ბროშურა არ ქმნის და არ იძლევა უფლებებს, ის სამართლებრივად არ ადგენს და არ ავალდებულებს. დუბლინის პროცედურის თანახმად სახელმწიფოს და პიროვნების უფლებები და მოვალეობები დადგენილია რეგლამენტი N 604/2013.

©European Union 2014

Reproduction is authorised. For any use or reproduction of individual photos, permission must be sought directly from the copyright holders.



დუბლინის ქვეყნები არის ევროკავშირის წევრი ყველა 28 ქვეყანა (ირლანდია (IE), ავსტრია (AT), ბელგია (BE), ბულგარეთი (BG), ჩეხეთი (CZ), დანია (DK), ესტონეთი (EE), საბერძნეთი (EL), ესპანეთი (ES), იტალია (IT), დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეო (UK), კვიპროსი (CY), ხორვატია (HR), ლატვია (LV), ლიტვა (LT), პოლონეთი (PL), ლუქსემბურგი (LU), მალტა (MT), პოლანდია (NL), პორტუგალია (PT), საფრანგეთი (FR), რუმინეთი (RO), სლოვაკეთი (SK), სლოვენია (SL), ფინეთი (FI), შვედეთი (SE), უნგრეთი (HU), გერმანია (DE)) და დუბლინის რეგლამენტთან ასოცირებული 4 ქვეყანა (ისლანდია (IS), ლიხტენშტეინი (LI), ნორვეგია (NO), და შვეიცარია (CH)).

“რა დროა საჭირო იმ გადაწყვეტილების მისაღებად, თუ რომელი ქვეყანა განიხილავს ჩემს თხოვნას?”

“რამდენი ხანი დაჭირდება ჩემი თხოვნის განხილვას?”

თუ ჩვენი ინსტიტუციის ხელმძღვანელობა დაადგენს, რომ თქვენი თავშესაფრის შესახებ თხოვნა ჩვენი განსახილველი და გადასაწყვეტია, ეს ნიშნავს იმას, რომ თქვენ შეგიძლიათ დარჩეთ ამ ქვეყანაში, ხოლო თქვენი თხოვნა განიხილება აქ. ამ შემთხვევაში დაუყოვნებლივ იწყება თქვენი თხოვნის განხილვის პროცესი.

თუ გადავწყვეტთ, რომ თქვენს თხოვნაზე პასუხისმგებელია სხვა ქვეყანა, შევეცდებით რაც შეიძლება სწრაფად გადაგცეთ იმ ქვეყანას, რათა თქვენი თხოვნა განხილულ იქნას იქ. მთელ დუბლინის პროცედურას, თქვენს გადაყვანამდე იმ ქვეყანაში, განსაკუთრებულ გარემოებებში შესაძლებელია დაჭირდეს 11 თვემდე. შემდეგ თქვენი თხოვნა თავშესაფრის შესახებ განხილულ იქნება თხოვნის განხილვაზე პასუხისმგებელ ქვეყანაში. თუ თქვენ დაემალებით ხელმძღვანელობას, იქნებით პატიმრობაში ან დაკავებული, ან/და გაასაჩივრებთ გადაწყვეტილებას თქვენი გადაცემის შესახებ, მაშინ ეს დროის მონაკვეთი შეიძლება შეიცვალოს. თუ თქვენ აღმოჩნდით რომელიმე ასეთ სიტუაციაში, მიიღებთ კონკრეტულ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა დროის მონაკვეთი შეგეფარდათ. თუ იქნებით დაკავებული, თქვენ განგიმარტავენ, თუ რის გამო ხართ დაკავებული და გაგაცნობენ სამართლებრივად დაცვის არსებულ საშუალებებს.

“როგორ მიიღება გადაწყვეტილება თუ რომელი ქვეყანა განიხილავს ჩემს თხოვნას?”

სამართლებრივ აქტებში გათვალისწინებულია სხვადასხვა მიზეზი, რომელთა გამოც ქვეყანა შესაძლებელია იყოს პასუხისმგებელი თქვენი თხოვნის განხილვაზე. ეს მიზეზები სამართლებრივ აქტებში მოყვანილია მნიშვნელობის რიგითობით: გყავთ თუ არა იმ დუბლინის რეგლამენტის ქვეყანაში ოჯახის წევრი; გქონდათ



ან გაქვთ რომელიმე დუბლინის რეგლამენტის ქვეყნის ვიზა ან საბუთი, რომელიც იძლევა დუბლინის რეგლამენტის ქვეყანაში ცხოვრების უფლებას; კანონიერად ხართ თუ არ ჩასული ქვეყანაში; მოხვდით თუ არა კანონიერად ამ ქვეყანაში სხვა დუბლინის წევრი ქვეყნიდან.



©iStockphoto / Joe Gough

თუ თქვენ გყავთ სხვა დუბლინის რეგლამენტის წევრ ქვეყანაში ოჯახის წევრი, მნიშვნელოვანია, რომ ამის შესახებ ინფორმაცია რაც შეიძლება სწრაფად მოგვაწოდოთ. თუ თქვენი მეუღლე, ან ბავშვი არის თავშესაფრის მომთხოვნი ან მას შეეფარდა საერთაშორისო დაცვა სხვა დუბლინის წევრ ქვეყანაში, მაშინ ის ქვეყანა შესაძლებელია იყოს თქვენი თავშესაფრის შესახებ თხოვნაზე პასუხისმგებელი.

დუბლინის რეგლამენტით დადგენილი კრიტერიუმების თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ ეს არ შედის ჩვენს მოვალეობებში, ჩვენ შეიძლება გადავწყვიტოთ, რომ თქვენი თხოვნა განვიხილოთ აქ, ამ ქვეყანაში. არ გაგამგზავრებთ სხვა ქვეყანაში, თუ დადგენილია, რომ იქ შესაძლებელია დაირღვეს თქვენი ადამიანის უფლებები.

“თუ არ მინდა სხვა ქვეყანაში გამგზავრება?”

თქვენ გაქვთ შესაძლებლობა თქვათ, რომ არ ეთანხმებით გადაწყვეტილებას გაგზავნილ იქნათ დუბლინის რეგლამენტის წევრ სხვა ქვეყანაში და შეგიძლიათ გადაწყვეტილება გაასაჩივროთ სასამართლოში ან არბიტრაჟში. ასევე შეგიძლიათ მოითხოვოთ დარჩეთ ამ ქვეყანაში თქვენი საჩივრის განხილვისა და გარჩევის ბოლომდე.

თუ უარს იტყვით თავშესაფრის თხოვნაზე და გაემგზავრებით

დუბლინის რეგლამენტის წევრ სხვა ქვეყანაში, თქვენ დაგაბრუნებენ ან ამ, ან სხვა თქვენზე პასუხისმგებელ ქვეყანაში.

ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ თავშესაფრის მოთხოვნის შემთხვევაში დარჩეთ და იყოთ აქ სანამ არ გადაწყდება: 1) ვინ არის თქვენი თავშესაფრის შესახებ თხოვნის განხილვაზე პასუხისმგებელი და/ან 2) რომ თქვენი თავშესაფრის შესახებ თხოვნა განხილული იქნება ამ ქვეყანაში.

მიაქციეთ ყურადღება: შესაძლებელია თქვენ დაკავებული იქნათ (დაკეტილ ცენტრში) თუ ჩვენ ჩავთვლით, რომ თქვენ შეიძლება შეეცადოთ ჩვენგან მიმალვას ან გაცევას იმის გამო, რომ არ გინდათ, რომ გადაცემული იქნათ სხვა ქვეყანას. ამ შემთხვევაში თქვენ გაქვთ უფლება იურიდიულ წარმომადგენელზე, ხოლო ჩვენ გაგაცნობთ თქვენს სხვა უფლებებს, დაკავების გასაჩივრების უფლების ჩათვლით.

“რატომ მთხოვენ თითის ანაბეჭდების აღების უფლებას?”

თუ თქვენ წარმოადგინეთ თხოვნა თავშესაფრის შესახებ, და თქვენი ასაკი არის 14 წელი და მეტი, მაშინ თქვენ აგიღებენ თითის ანაბეჭდებს, რომელიც შემდეგ გადაცემული იქნება თითის ანაბეჭდების მონაცემთა ბაზაში სახელწოდებით „ევროდაკი“. ვალდებული ხართ შეასრულოთ ეს პროცედურა. სამართლებრივი აქტი თქვენ გავალდებულებთ მიცეთ საშუალება თქვენგან აიღონ თითის ანაბეჭდები.

თუ თქვენი თითის ანაბეჭდი იქნება უხარისხო და იმ შემთხვევაში, თუ განზრახ დაიზიანეთ თითი, მაშინ ანაბეჭდები მომავალში განმეორებით იქნება აღებული.

თითის ანაბეჭდები შემოწმებული იქნება „ევროდაკი“-ში იმის გასარკვევად მოთხოვნილი გაქვთ თუ არა ადრე თავშესაფარი და იმის გასაგებად ადრე აღებული იქნა თუ არა თქვენი თითის ანაბეჭდები საზღვარზე. ეს დაეხმარება იმის გარკვევას, თუ რომელი



©iStockphoto / jamp013

დუბლინის რეგლამენტის ქვეყანაა თქვენი თავშესაფრის შესახებ თხოვნის განხილვაზე პასუხისმგებელი.

თქვენი თითის ანაბეჭდები ასევე შესაძლებელია შემოწმებული იქნას ვიზების საინფორმაციო სისტემაში (VIS), რომელიც არის შენგენის სივრცეში გაცემულ ვიზებთან დაკავშირებული საინფორმაციო მონაცემთა ბაზა. თუ ეხლა გაქვთ ან ადრე გქონდათ სხვა დუბლინის რეგლამენტის რომელიმე ქვეყნის ვიზა, შეიძლება გაგზავნილ იქნათ იმ ქვეყანაში რათა განხილულ იქნას თქვენი თხოვნა საერთაშორისო დაცვის შესახებ.

რადგან წარმოადგინეთ თხოვნა თავშესაფრის შესახებ, ამიტომ თქვენი თითის ანაბეჭდები „ევროდაკი“-ში იქნება შენახული 10 წელი; 10 წლის შემდეგ ის ავტომატურად წაიშლება „ევროდაკი“-დან. თუ თქვენი თხოვნა თავშესაფრის შესახებ დაკმაყოფილდება, თითის ანაბეჭდები ბაზაში ავტომატურად დარჩება, სანამ ავტომატურადვე არ წაიშლება. იმ შემთხვევაში თუ თქვენ გახდით რომელიმე დუბლინის რეგლამენტის წევრი ქვეყნის მოქალაქე, თქვენი თითის ანაბეჭდები დაუყოვნებლივ წაიშლება. თქვენი

თითის ანაბეჭდები და მონაცემები სქესის შესახებ შენახული და დაცული იქნება „ევროდაკი“-ში. თქვენს სახელს, გვარს, სურათს, დაბადების თარიღს და მოქალაქეობის შესახებ ინფორმაციას „ევროდაკი“-ს მონაცემთა ბაზაში არ ვაგზავნით, თუმცა ისინი შეიძლება დაცული იქნას ნაციონალურ მონაცემთა ბაზაში.

მომავალში შეგიძლიათ მოგვთხოვოთ მონაცემები, რომელიც თქვენთანაა კავშირში და რომელიც ჩაწერილია „ევროდაკი“-ში. თუ ფიქრობთ რომ მონაცემები არის უზუსტო ან ისინი არ უნდა ინახებოდეს, თქვენ შესაძლებლობა გაქვთ მოითხოვოთ მისი შესწორება ან წაშლა. ინფორმაცია იმ ინსტიტუციათა ხელმძღვანელობის შესახებ რომლებიც პასუხისმგებელნი არიან თქვენი მონაცემების მოწესრიგებაზე (ან კონტროლზე) ამ ქვეყანაში და ასევე ინფორმაცია იმ ინსტიტუციათა ხელმძღვანელობის შესახებ რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მონაცემთა უსაფრთხოებაზე, დაცვასა და მოვლაზე, შეგიძლიათ მოიძიოთ 11 გვერდზე.

„ევროდაკს“ მართავს ევროკავშირის სააგენტო, რომელსა ეწოდება „eu-LISA“. თქვენი მონაცემების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული მიზნებისთვის. თქვენს მონაცემებს მიიღებს მხოლოდ „ევროდაკი“-ს ცენტრალური სისტემა. თუ მომავალში თქვენ მოითხოვთ თავშესაფარს დუბლინის რეგლამენტის წევრ სხვა ქვეყანაში, თქვენი თითის ანაბეჭდები გადაგზავნილი იქნება შესამოწმებლად. „ევროდაკი“-ში დაცული მონაცემები არ იქნება მიწოდებული არც ერთი სისტემისთვის, რომელიც არ მიეკუთვნება დუბლინის სისტემის ქვეყანას და ორგანიზაციას.

2015 წლის 20 ივლისიდან თქვენი თითის ანაბეჭდები შესაძლოა მოიძიოს ისეთმა ინსტიტუციამ, როგორიც არის პოლიცია და ევროპის პოლიციის ბიურო (ევროპოლი), რომელიც შეძლებს მოითხოვოს მידგომა ევროდაკის მონაცემთა ბაზასთან, რათა დაადგინოს და აღუკვეთოს გზა მძიმე დანაშაულსა და ტერორიზმს.

“რა უფლებებით ვსარგებლობ, სანამ წყდება საკითხი, თუ რომელი ქვეყანაა ჩემი თავშესაფრის შესახებ თხოვნის განხილვაზე პასუხისმგებელი?”

შეგიძლიათ დარჩეთ ამ ქვეყანაში, თუ თქვენი თავშესაფრის შესახებ თხოვნაზე ჩვენ ვართ პასუხისმგებელნი, ხოლო თუ პასუხისმგებელია სხვა ქვეყანა, მაშინ დარჩეთ იქამდე, სანამ არ იქნებით გაგზავნილი იმ ქვეყანაში რომელიც არის პასუხისმგებელი. თუ თქვენი თავშესაფრის შესახებ თხოვნაზე ეს ქვეყანაა პასუხისმგებელი, მაშინ გაქვთ უფლება დარჩეთ აქ სულ მცირე იქამდე, სანამ იქნება მიღებული პირველი გადაწყვეტილება თქვენს თხოვნასთან დაკავშირებით. ასევე გაქვთ უფლება მიიღოთ მატერიალური დახმარება მაგალითად საკვები, საცხოვრებელი და ა.შ., ასევე პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარება. თქვენ მოგეცემათ საშუალება მოგვაწოდოთ ინფორმაცია თქვენს მდგომარეობაზე და დუბლინის რეგლამენტის ქვეყნებში მყოფი ოჯახის წევრების შესახებ წერილობით ან სიტყვიერად და ეს გააკეთოთ თქვენ მშობლიურ ენაზე ან სხვა იმ ენაზე, რომელსაც კარგად ფლობთ (საჭიროების შემთხვევაში ისარგებლოთ თარჯიმნის მომსახურებით). ასევე მიიღებთ სხვა ქვეყანაში თქვენი გადაცემის გადაწყვეტილების წერილობით კოპიას. ასევე გაქვთ უფლება მოგვმართოთ ჩვენ დამატებითი ინფორმაციისთვის და/ან მიმართოთ დევნილთა საკითხებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უმაღლესი კომისრის ბიუროს ამ ქვეყანაში.

თუ გადაწყვეტთ, რომ თქვენი თავშესაფრის შესახებ თხოვნაზე პასუხისმგებელია სხვა ქვეყანა, მაშინ თქვენ მოგეწოდებათ უფრო ვრცელი ინფორმაცია პროცედურაზე და იმაზე, თუ როგორ იმოქმედებს ეს თქვენზე და თქვენს უფლებებზე.



„მე შემეფარდა
დუბლინის პროცედურა,
რას ნიშნავს ეს?“

ინფორმაცია მთხოვნელთათვის, რომელთაც შეეფარდათ დუბლინის პროცედურა ევროკავშირის რეგლამენტის N 604/2013 4 მუხლით

საერთაშორისო დაცვის

KA

B

საკონტაქტო ინფორმაცია:

ევროდაკის მონაცემების
მაკონტროლებელი/
თავშესაფრის საკითხთა
ინსტიტუციის მისამართი:
შინაგან საქმეთა სამინისტროსთან
არსებული მიგრაციის
დეპარტამენტი
ლ. საპიეგოს ქ. N 1
10312 ვილნიუსი,
ტელ. +370 5 271 7112
ელ.ფოსტა: md.rastine@vrm.lt
<http://www.migracija.lt>

ნაციონალური
ზედამხედველობის
ინსტიტუციის მისამართი:
მონაცემთა დაცვის სახელმწიფო
ინსპექცია
ა.იუოზაპავიჩიაუსის ქ. N 6
09310 ვილნიუსი
ტელ. +370 5 271 2804, +370 5 279 1445
ელ.ფოსტა: ada@ada.lt
<http://www.ada.lt>

დევნილთა საკითხებში
გაერთიანებული ერების
ორგანიზაციის უმაღლესი
კომისრის ადგილობრივი
ბიუროს მისამართი:
დევნილთა საკითხებში
გაერთიანებული ერების
ორგანიზაციის უმაღლესი
კომისრის ბიუროს

წარმომადგენლობა ლიტვის
რესპუბლიკაში
ა. იაკშტოს ქ. N 12, 01105 ვილნიუსი,
ტელ. +370 5 210 7416
ელ.ფოსტა: kules@unhcr.org
<http://www.unhcr.se/lt/home.html>

მიგრაციის საერთაშორისო
ორგანიზაციის ბიუროს
საკონტაქტო მონაცემები:
მიგრაციის საერთაშორისო
ორგანიზაციის ვილნიუსის
ბიურო
ა. იაკშტოს ქ. N 12, 01105 ვილნიუსი
ტელ: +370 5 261 0115
ელ.ფოსტა: iomvilnius@iom.lt
<http://www.iom.lt>

დევნილთა მხარდამჭერი
ორგანიზაციების მისამართი:

ლიტვის წითელი ჯვარი
ა. იოზაპავიჩიაუსის ქ. N 10A 09316
ვილნიუსი
ტელ; +370 5 212 7322, +370 686 30 050
ელ.ფოსტა: info@redcross.lt
<http://www.redcross.lt>

ვილნიუსის საეპისკოპოსო
“Caritas“-ი
ოდმინიუს ქ. N 12, 01122 ვილნიუსი
ტელ: +370 5 261 1014
ელ.ფოსტა info@vilnius.caritas.lt
<http://www.vilnius.caritas.lt>

